№5 2013

მასწავლებელი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა

რატომ უნდა ვისწავლოთ კრიტიკული აზროვნება

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი"
ბანკის კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:
202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
გმირ კურსანტთა ქ. №1

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009" წიგნის მაღაზიაში – ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43
ტელ.: 296 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის

კითხვის ეფექტური მეთოდები
სასწავლო მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი

მასწავლებელთა
დამხმარე სახელმძ-
ვანელო სამ ნაწილად:

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და პროფესიული გარემო

ჟურნალი „მასწავლებელი"

რედაქტორისგან

„ჩვენს სკოლაში ვინმეს რომ ჰქონოდა წაკითხული ამ ტიპის ლიტერატურა, ის არ მოხდებოდა, რაც წელს მოხდა მე-9 კლასის მათემატიკის გამოცდაზე“, – ასე გამოეხმაურა მასწავლებელი მაია ქევხიშვილი ინტერნეტგაზეთ “mastsavlebeli.ge”-ში გამოქვეყნებულ მანანა ბოჭორიშვილის სტატიას „ტესტური დავალების ტიპები და პედაგოგიური ტესტის შექმნის მნიშვნელოვანი პროცედურები“.

თითოეული სტატიის, საგანმანათლებლო რესურსისა თუ ბლოგის შერჩევისა და გამოქვეყნებისას იმით ვხელმძღვანელობ, რამდენად სჭირდება, რამდენად გამოადგება ის მასწავლებელს და, უბრალოდ, მკითხველს.

არ ვიცი, გამოგვდის თუ არა, მაგრამ იმედით ვართ, რომ, ასე თუ ისე, ვახერხებთ.

მას შემდეგ, რაც მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები გამოქვეყნდა, უფრო მეტად დავფიქრდი იმაზე, რამდენად ხშირად კითხულობენ მასწავლებლები ჩვენს საგანმანათლებლო რესურსებს, რამდენად მართებულია მასალების შერჩევისა და მათთვის მიწოდების ჩვენეული სტრატეგია.

იქნებ რესურსების მიწოდებასთან ერთად უფრო ხშირად უნდა ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, სასწავლო პროცესში, გამოცდების მიმდინარეობისა თუ მათთვის მზადებისას რომ ვეჯახებით?

სტატიაში „მასწავლებლის პრესტიჟი“ სიმონ ჯანაშიამ აღნიშნა, რომ მედიით მასწავლებლების შესახებ პოზიტიური ინფორმაციის გავრცელება საქართველოში იშვიათია.

ძნელია, არ დაეთანხმო. თუმცა, ჩვენი ჟურნალისა და გაზეთის თითოეული სტატია მასწავლებლის წარმატებას ემსახურება, არც წარმატებულ პედაგოგებს ვტოვებთ უყურადღებოდ, თავისთავად, მათზე წერა არასოდეს იქნება საკმარისი, ისევე როგორც, ვაღიაროთ, არ გვყავს საკმარისი რაოდენობის წარმატებული მასწავლებელი. ჩვენ ყოველთვის ვეცდებით მათ მხარდაჭერას – გაზეთის დანიშნულება ხომ, გარდა მასწავლებლების თვითგანვითარების ხელშეწყობისა, მათი პროფესიის პოპულარიზაციაც არის.

გადამწყვეტი სიტყვა იმის თაობაზე, რა სჭირდება, რა გზებითა და საშუალებებით იზრუნებს თავის პროფესიულ განვითარებაზე, სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, მასწავლებელმა თავად უნდა თქვას, ამიტომ ხშირად მოგვწერეთ და ვისაუბროთ საერთო საზრუნავსა და „მასწავლებელთა სევდაზე“.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

N5(29),2013

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, მაია ფირჩხაძე, ირინა აბულაძე, ქეთევან ქობალია, ეკატერინე შავერდაშვილი, ნესტან რატიანი, გიორგი ნოზაძე, კახა ჟღენტი, თამარ ტალიაშვილი, მერაბ ლაბაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

24

ექსპერტი

მანანა ბოჭორიშვილი

4 | პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა და მეტაკოგნიცია

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა განათლებისადმი ზოგადი მიდგომაა. კვლევები ადასტურებს, რომ ამ მიდგომით განათლება-მიღებული მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ პროფესიულ ცხოვრებაშიც და აკადემიურ სფეროშიც.



ირინა აბულაძე

8 | სტრატეგიები მშობელთა ჩართულობის ასამაღლებლად

სტატიაში კიდევ ერთხელ ვისაუბრებთ იმაზე, რას ნიშნავს მშობელთა ჩართულობა მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი და როგორ უნდა უზრუნველვყოთ მშობელთა აქტიურობა ამ მიმართულებით.



მოსაზრება

თეო ნეფარიძე

12 | ვასწავლოთ აკადემიური წერა

აკადემიური წერის სწავლებაში სხვადასხვა მიდგომაა გავრცელებული. ამ წერილში წარმოდგენილი მიდგომები სან ფრანცისკოს უნივერსიტეტის პროფესორის, ლინგვისტ მეი შიის ნამუშევარს ეფუძნება.

გიორგი ნოზაძე

16 | მოსწავლეთა მზაობის დიაგნოსტიკის მეთოდები

დიაგნოზი სწავლება/სწავლის თვალსაზრისით მხოლოდ იმას ნიშნავს, მასწავლებლის მიერ ჩატარებული შეფასების შედეგების შესაბამისად, რამდენადაა დაოსტატებული მოსწავლე წინარე ცოდნასა და უნარ-ჩვევებში ან/და რა წარმოდგენები აქვს მას ახალი სასწავლო მასალის შესახებ

ეკატერინე შავერდაშვილი

24 | სახელმძღვანელოს როლი უცხო ენის გაკვეთილზე

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, მკითხველს გააცნოს უცხო ენის სახელმძღვანელოს როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლო მასალის განვითარების ასპექტები ენის ათვისებისას; სახელმძღვანელოს ფუნქციები, სახელმძღვანელოს სტრუქტურა, სახელმძღვანელოსა და სასწავლო გეგმის კავშირი, სახელმძღვანელოს შინაარსი, სახელმძღვანელოს შერჩევის და მისი სწორად გამოყენების პრინციპები.

ნესტან რატიანი

35 | კურიკულუმის მიღმა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით, დღევანდელ სკოლაში წახალისებულია არაფორმალური განათლება, ეს კი სხვადასხვა სახის საქმიანობასთან ერთად წრეებისა და კლუბების შექმნასაც გულისხმობს. წრეები და კლუბები სხვადასხვა ფორმატის შეიძლება იყოს. სკოლა თავად უნდა სთავაზობდეს მოსწავლეებს კლასგარეშე აქტივობებისთვის განკუთვნილ სექციებს.

შინაარსი

4

რესურსი

მაია ფირჩხაძე

20 | **მოსწავლეთა ვიტაგენიური გამოცდილების გამოვლენა/ აქტუალიზაციის მეთოდები და ჰოლოგრაფიული ტექნიკა**

რა როლს ასრულებს საგანმანათლებლო პროცესი ვიტაგენიური ინფორმაციის ვიტაგენიურ (ცხოვრებისეულ) გამოცდილებად ტრანსფორმირებაში, როგორ უწყობს ხელს ცოდნის ფორმირებას და რატომ ითვლება იგი სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანეს შედეგად?

თეო ჭყოიძე

36 | **დამოუკიდებელი სწავლის უნარები და მათი განვითარება**

21-ე საუკუნეში, რომელიც ადამიანს მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწრაფი და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების და, რაც მთავარია, დამოუკიდებლად აზროვნებისა და მოქმედების უნარები.

ქეთევან ქობალია

48 | **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მოსწავლეთა აღზრდა ფიზიკური სიჯანსაღისადმი სწრაფვის სულისკვეთებით, ვინაიდან სწორედ ეს განაპირობებს ფიზიკური აქტივობისადმი დადებითი, ჰარმონიული დამოკიდებულების გამომუშავებას, რაც საბოლოოდ ადამიანის ცხოვრების წესად უნდა იქცეს.

ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30

რესურსი

თამარ ტალიაშვილი

32 | **რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება**

მეცნიერები თანხმდებიან, რომ გამოსავალი პერსპექტივაზე გათვლილ განათლებაშია, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს ორი პრინციპი: ინფორმაციის მზარდ ნაკადში სწრაფი ორიენტაციისა და საჭირო მასალის მოძიების უნარი და უნარი, სწორად იქნეს გააზრებული და გამოყენებული მიღებული ინფორმაცია.

კახა ჟღენტი

40 | **როგორ მივაღწიოთ სკოლებში სწავლების მაღალ ხარისხს**

განათლების რეფორმა თითქმის ყველა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მიუხედავად ამ მიმართულებით დაფინანსებისა და ძალისხმევის ზრდისა, სასკოლო სისტემებში განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ხარისხის მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში, ქვეყნების მიხედვით, ძლიერ მერყეობს.

მერაბ ლაბაძე

53 | **ინდივიდუალური კომპიუტერული სწავლება: ერთი ერთზე ციფრულ კარიბჭესთან**

განათლების პოლიტიკის მესვეურები ბევრ ქვეყანაში აცნობიერებენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) წამყვან როლს სწავლებასა და პროფესიულ გადამზადებაში ინოვაციების დანერგვისა და შემოქმედებითობის განვითარებისთვის.